სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/41

ქ. თბილისი 28 მარტი 2024 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და 30-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 და 26-ე მუხლების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 მაისის N 01-05-04/42 დადგენილებით დამტკიცებული საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს 2024 წლის 23 მარტის სხდომის №2 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 მარტის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ჰუმანიტარულ-სოციალური საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ 2024 წლის 28 მარტიდან 4 წლის ვადით დამტკიცებულ იქნას პროფესორი **ანზორ აბრალავა;**
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**